საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/162

06 --- ივლისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნათია დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 29 სექტემბრის №01-09/452 ბრძანების, ,,2019-2020 სასწავლო წელის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) შესახებ, ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 თებერვლის №01-08/31 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 22 დეკემბრის N01-02/165 ბრძანების (დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურის შეცვლის შესახებ), ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/11, 05.07.2022) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, რეზო მანველიძის 2022 წლის 5 ივლისის №761241 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ნათია დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომის** „საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის საინვესტიციო გარემოს სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“ **საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 19 ივლისს, 14:00 საათზე, №423 აუდიტორიაში** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. **ნათელა წიკლაშვილი** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.2.**ლეილა ცეცხლაძე** (კომისიის მდივანი) - ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი;

2.3. **რეზო მანველიძე** (კომისიის თავმჯდომარე) - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;

2.4. **ირინა ვაშაყმაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.5. **ბადრი გეჩბაია** – ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.6. **დავით ქათამაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.7. **დარეჯან ჩხუბაძე** - სოციალურ მეცნიერებათა კანდიდატი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.8. **ლელა ონიანი** - ბიზნესის მართვის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. **რამინ ცინარიძე** – ბიზნესის მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასისტენტ-პროფესორი ლ. ცეცხლაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**